

შპს „ღვინის კომპანია შუმი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2018	31/12/2017	შენიშვნა
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	<i>7991526</i>	<i>6294267</i>	
ფულადი სახსრები	289226	104487	3.1
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4545609	3805990	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	194671	157172	3.3
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	2860284	2189948	3.4
წინასწარ გადახდილი გადასახადები	92200	35710	3.5
სხვა მიმდინარე აქტივები	9536	960	
გასაყიდად გამოწვნილი გრძელვადიანი აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	<i>1768688</i>	<i>1187044</i>	
ძირითადი საშუალებები	1764580	1186866	
არამატერიალური აქტივები	4108	178	3.6
სულ აქტივები:	9760214	7481311	
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	<i>1848060</i>	<i>1168640</i>	
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1464710	701768	
საგადასახადო ვალდებულებები	42289	230633	3.7
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	341061	236239	3.8
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	<i>3899017</i>	<i>3149211</i>	
გრძელვადიანი სესხები	3407334	2814007	3.9
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	491683	335204	3.10
<i>სულ კაპიტალი:</i>	<i>4013138</i>	<i>3163460</i>	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	2000	2000	
საემისიო (დამატებითი) კაპიტალი	434000	434000	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	3577138	2727460	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	9760214	7481311	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 09.07.2020 წ.

დირექტორი: _____



აკაკი ცოფურაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2018	შენიშვნა
ამონაგები	9719473	
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	4136350	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	5583123	
სხვა საოპერაციო შემოსავლები	156036	
სულ საოპერაციო შემოსავლები:	5739159	
მიწოდების ხარჯები	1416264	3.11
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2933336	3.12
სულ საოპერაციო ხარჯები:	4349600	
დადებითი საკურსო სხვაობები	113306	
შემოსავლები სესხის სახელმწიფო სუბსიდიიდან	193445	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	306751	
ფინანსური დანახარჯები	339114	3.13
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	49044	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	58474	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	446632	
მოგება დაბეგვრამდე:	1249678	
მოგების გადასახადის ხარჯი		
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	1249678	
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან		
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	1249678	
მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვანებელი:		
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	1249678	
არამაკონტროლებელ წილზე		
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით		
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	1249678	
მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვანებელი:		
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	1249678	
არამაკონტროლებელ წილებზე		

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 09.07.2020 წ.

დირექტორი: _____



აკაკი ცოფურაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.




საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საბუღალტრო / საწესდებო კაპიტალი	საემისიო/ დამატებითი კაპიტალი	გაუნაწილ- მოგება / დაუფარავი ზარალი	კაპიტალი არამაკონტ- წილის გარეშე	ს-ლ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2018-თგის	2000	434000	2727460	3163460	3163460
საადრინცხო პოლიტიკის შეცვლით განოწვეული კორექტირებები					
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები					
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები					
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი			1249678	1249678	1249678
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი					
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი					
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში					
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი			1249678	1249678	1249678
მესაკუთრების შენატანები კაპიტალში					
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრებისგან			-400000	-400000	-400000
განაწილებული დივიდენდები			-400000	-400000	-400000
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები			-400000	-400000	-400000
ნაშთი 01.01.2019-თგის	2000	434000	3577138	4013138	4013138

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 09.07.2020 წ.

დირექტორი: _____



აკაკი ცოფურაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



2018 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ღვინის კომპანია შუმი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2001 წლის 04 ივნისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 231244944. იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თელავი ლიონიძის ქ. N33. კომპანიის დირექტორი არის აკაკი ცოფურაშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ყურძნის მოყვანა, ღვინის წარმოება ყურძნისგან, საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლიანი სასმელებით, საცალო ვაჭრობა სასმელებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, რესტორნები და საკვებით მოზილური მომსახურების საქმიანობები ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით. კომპანიის ოფისი მდებარეობს საქართველო, ქ.თელავის რაიონი სოფ. წინანდალში. კომპანიის 100%-იანი დამფუძნებელია შპს „აი სი ტი“ ს/კ 201952477

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის „სარეკომენდაციო მითითება მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ - საფუძველზე, რომლის თანახმადაც: „იმ შემთხვევაში, თუ მსს ფასს-ის 35-ე მუხლის

თანახმად, ასეთი საწარმო შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2018 წლის 1 იანვარს, საწარმოს მიერ სამსახურში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სულ მცირე უნდა მოიცავდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2018 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2018 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.“

ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოა, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის

განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 20 წელი;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 6,67 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოუშვებთ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი;

100 RUB = 3.8588 ლარი;

1 GBP = 3.3955 ლარი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

100 RUB = 4.4935 ლარი;

1 GBP = 3.5005 ლარი

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	58239	2175
ლარი საბანკო ანგარიშებზე	3470	8265
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	227518	93403
ევროები საბანკო ანგარიშებზე	0	634
სხვა ვალუტა საბანკო ანგარიშებზე		10
სულ:	289226	104487

3.2. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები (რეზიდენტი დებიტორები)	1165524	980667
სავაჭრო მოთხოვნები (არარეზიდენტი დებიტორები)	3380085	2825323
სულ:	4545609	3805990

3.3. ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	169292	157172
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	25379	
სულ:	194671	157172

3.4. სასაქონლო-მატერიალური მარაგი:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	5926	
ნედლეული და მასალები	2767228	2083415
მზა პროდუქცია	75968	106533
საწვავ-საცხები მასალები	2083	
სხვა	9078	
სულ:	2860284	2189948

3.5. წინასწარ გადახდილი გადასახადები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
შესამცირებელი უკუდაბეგვრის დღე		35710
შესამცირებელი დღე	15016	
ჩასათვლელი დღე	9359	
ბიუჯეტის ერთიანი ანგარიში	67825	
სულ:	92200	35710

3.7. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ბიუჯეტის ერთიანი ანგარიში		211874
საშემოსავლო გადასახადი	42189	18760
საბაჟო მოსაკრებელი	100	
სულ:	42289	230633

3.8. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	35145	41
გადასახდელი ხელფასები	117853	74798
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი	178926	160200
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9138	1200
სულ:	341061	236239

3.9. გრძელვადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სესხები კომერციული ბანკებისგან	2807705	2214378
სესხი ფიზიკური პირისგან	599628	599628
სულ:	3407334	2814006

3.10. სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
თიბისი ლიზინგი	189799	
ლიზინგი დამფუძნებლისგან	301883	335204
სულ:	491683	335204

3.11. მიწოდების ხარჯები:

	2018 წელი
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯი	1162908
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯები	250303
საბაჟოზე გაწეული ექსპორტის ხარჯები	1789
მიწოდების სხვა ხარჯები	1264
სულ:	1416264

3.12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2018 წელი
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	1232067
დაცვის მომსახურება და მსგავსი	28627
ვენახის მოვლაზე გაწეული ხარჯი	386753
საიჯარო ქირა	105874
ლაბორატორიული მომსახურების ხარჯი	70464
ელექტროენერგიის ხარჯები	59059
გაზი და წყალი	12122
დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	511
მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯები	12130
საკანცელარიო ხარჯები	4476
კომპიუტერის ხარჯები	7344
კომუნიკაციის ხარჯები	18594
დაზღვევის ხარჯები, გარდა პერსონალის დაზღვევაზე	22663
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	68590
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	63964
სწავლებისა და ტრენინგის ხარჯი	1933
საერთო დანიშნულების ძირით. საშუალებების ცვეთა	331759
საერთო დანიშნულების არამატ. აქტივების ამორტიზაცია	379
საგადასახადო ხარჯები	12361
საბაჟოზე გაწეული ხარჯები	1180
საბანკო ხარჯები (გარდა კონვერტაციისა)	24807
მიწოდების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	24212
ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები (გარდა	1117
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები (გარდა	24951
ავტომანქანების რემონტის ხარჯები	3748
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	10723
წარმომადგენლობითი ხარჯები	53403
ტრანსპორტირების ხარჯი და მსხგავსი	63310
სხვა საქველმოქმედო ხარჯები	6000
საქონლის ან მომსახურების მიწოდება უსასყიდლოდ	1424
სხვა საერთო-ადმ. ხარჯები	278790
სულ:	2933336

3.13. ფინანსური დანახარჯები:

	2018 წელი
საპროცენტო დანახარჯები სესხებიდან	299259
ლიზინგის პროცენტი	39855
სულ:	339114

3.14. სასამართლო დავები

კომპანიას 2018 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მნიშვნელოვან მოვლენებს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, რომელსაც არსებითი გავლენა ექნება ანგარიშგებაზე, ადგილი არ ჰქონია.

3.16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები
განხორციელებული ტრანზაქციები
დამფუძნებელ კომპანიასთან

	12/31/2018	12/31/2017	2018 წელი
სალიზინგო გრძელვადიანი დავალიანება	301,883	335,204	
კრედიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	32,000	16,000	
ლიზინგის მიმდინარე ნაწილი	178,925	160,200	
ლიზინგის პროცენტის ხარჯი			10,079

ტრანზაქციები უმაღლესი რგოლის
მენეჯმენტთან

	12/31/2018	12/31/2017	2018 წელი
სახელფასო დავალიანება	91,300	49,000	
დარიცხული ხელფასი	-	-	195,000